პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

- ქალაქი ბათუმი, აგვისტო, 2024 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქუჩა N6გ-ში მდებარე უძრავი ქონების შპს „ჩიგოგიძე ვაინ ბარ"-ისათვის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის შესაბამისად,

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქუჩა N6გ-ში მდებარე 467,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული 576,04 კვ.მ შენობა-ნაგებობიდან (ს.კ. 05.22.22.003) ნაწილის - 467,48 კვ.მ.-ს შპს „ჩიგოგიძე ვაინ ბარ"-ისათვის (ს/N400307020) პირდაპირი განკარგვის წესით, 15 (თხუთმეტი) წლის ვადით იჯარით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, შემდეგი პირობებით:

1.1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისა და სხვა საჯარო სტრუქტურების მიერ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შუამდგომლობის/შეტყობინების საფუძველზე შპს „ჩიგოგიძე ვაინ ბარ" ვალდებულია გამოათავისუფლოს შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული სივრცე კულტურული ღონისძიებების - გამოფენის (მხატვრული ან/და სხვა) ჩასატარებლად;

1.2. შპს „ჩიგოგიძე ვაინ ბარ"-მა სარგებლობის მთელ პერიოდში უნდა შეინარჩუნოს სამეწარმეო საქმიანობის პროფილი - ღვინის ბარის და არტ გალერეას სახით;

1.3. შპს „ჩიგოგიძე ვაინ ბარ" ვალდებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას სამ წელში ერთხელ წარმოუდგინოს ინფორმაცია დასაქმებული პირების შესახებ.

2. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 46 200 (ორმოცდაექვსი ათას ორასი) ლარის ოდენობით.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. წინამდებარე განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური
„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქუჩა N6გ-ში მდებარე უძრავი ქონების შპს „ჩიგოგიძე ვაინ ბარ“-ისათვის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია შპს „ჩიგოგიძე ვაინ ბარ“-ის (ს/N400307020) განცხადება (№10/1424221165-14, 08.08.2024წ), რომელშიც აღნიშნულია, რომ კომპანია დაინტერესებულია სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ზ. გორგილაძის ქუჩა N6გ-ში, მდებარე უძრავი ქონებით (ს.კ. 05.22.22.003), კომპანია განმარტავს, რომ აღნიშნული უძრავი ქონება არის სარემონტო შესაბამისად, შპს „ჩიგოგიძე ვაინ ბარ“ გეგმავს 200 000 (ორასი ათას) ლარამდე ინვესტიციის განხორციელებას, ეს ინვესტიციები კი მოიცავს რენოვაციებს და გაუმჯობესებებს, რათა უძრავი ქონება იყოს როგორც ესთეტიკურად ლამაზი, ასევე ფუნქციურად ეფექტური. აღნიშნულ შენობაში კომპანია გეგმავს სხვადასხვა კონცეფციის/მიმართულებების გაერთიანებას და ერთი ლოკაციის ქვეშ მოქცევას კერძოდ: შენობაში მოეწყობა ღვინის ბარი, რომელიც იქნება სტუმრებისთვის გამორჩეული სოციალურ სივრცე, სადაც შეძლებენ გაეცნონ ქართული ღვინის მდიდარ კულტურასა და ტრადიციას ასევე, მოეწყობა არტ გალერეა, რომელიც განსაკუთრებული იქნება, რადგან მოხდება უფასოდ ყოველგვარი გადასახადის გარეშე ადგილობრივი ხელოვანების ნამუშევრების გამოფენა, რაც რეგიონში წარმოადგენს უპრეცენდენტო შემთხვევას. კომპანიას მიაჩნია, რომ ხელოვნების მხარდაჭერა აქტუალურია ჩვენი საზოგადოების კულტურული და სოციალური განვითარებისთვის. ხელოვნებისთვის სივრცის შექმნით, კომპანია აპირებს კულტურული სცენის გააქტიურებას. გალერეა შემოთავაზებს ხელოვნების სხვადასხვა ფორმას, დაწყებული ტრადიციული ნახატებით და დამთავრებული თანამედროვე ინსტალაციებით, რაც ასახავს საზოგადოების მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობას. ამასთან, მნიშვნელოვანია რომ პროექტი მიზნად ისახავს შეიქმნას მისაღები და ინკლუზიური გარემო, სადაც ნებისმიერი ადამიანი შეძლებს შეიკრიბოს, სოციალიზდეს და მიიღოს მონაწილეობა კულტურულ აქტივობებში. ღვინის ბარი იქნება სოციალური ჰაბი, რომელიც უმასპინძლებს ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობას.

შპს „ჩიგოგიძე ვაინ ბარ“ განმარტავს, რომ აღნიშნული პროექტი არ არის მხოლოდ ბიზნეს პროექტი, არამედ ის არის სოციალური ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს ტერიტორიის გააქტიურებას და საზოგადოების ცენტრის შექმნას , რომელიც მოიტანს მრავალ სარგებელს ქალაქისთვის. ღვინის ბარი და არტ გალერეა მიიზიდავს როგორც ადგილობრივებს, ასევე ტურისტებს, რაც ასევე სასარგებლო და ბენეფიტური იქნება სხვა ბიზნესებისთვის. კომპანია აცხადებს, რომ შეიქმნება სამუშაო ადგილები ადგილობრივი მოსახლეობისთვის, როგორც პერსონალის, ასევე ხელოვანების და ღონისძიებების ორგანიზატორების ჩართულობით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით.

მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება უსასყიდლოდ.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს შპს ,,ჩიგოგიძე ვაინ ბარ"-ის განცხადება და პირდაპირი განკარგვის წესით, პირობებით, 15 წლის ვადით, იჯარით სარგებლობაში გადაეცეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ზურაბ გორგილაძის ქუჩა N6-ში მდებარე 467,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული 576,04 კვ.მ შენობა-ნაგებობიდან (ს.კ. 05.22.22.003) ნაწილი - 467,48 კვ.მეტრი და სარგებლობის საფასური განისაზღვროს 46 200 ლარით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, სარგებლობის ვადის განმავლობაში სარგებლობის უფლების მქონე პირის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სარგებლობის საფასურის სახით ყოველწლიურად განხორციელდება 46 200 ლარი.

სოციალურ/კულტურული ღონისძიებებისათვის ხელშეწყობა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**